საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუაში

მუაში

მუაში, ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრ. ფერდობზე, მდ. ცხენისწყლის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1300 *მ*. იცის ზომიერად რბილი და თოვლიანი ზამთარი (იანვრის საშ. ტემპ-რა – 4^{0}C), ზაფხული კი – ზომიერად თბილი და მშრალი (აგვისტოს საშ. ტემპ-რა 17.9^{0}C). ნალექების საშ. წლიური რაოდენობაა 2000 *მმ*, სინოტივე – 78%. ჰაერი გამოირჩევა განსაკუთრებული სისუფთავით. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: საშუალო მთის ჰავა და ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-კალციუმიანი, რკინის შემცველი და ნახშირმჟავარკინიანი, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმიან-კალციუმიანი მინერ. წყლები (მინერალიზაცია – 2,1 *გ/ლ*, ტემპ-რა – 9^{0}C; დებიტი – 13 *ლ/დღ-ღ*), რ-ებსაც იყენებენ სასმელად და აბაზანებისათვის. სამკურნალო ჩვენებებია: საჭმლის მომნელებელი ორგანოების, სახსრებისა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები. სეზონი გრძელდება ივნისიდან სექტემბრამდე.

მ-ის ,,მჟავე“ და ,,რკინის წყლები“ ძველთაგანვე იყო ცნობილი. როგორც ლაშხეთის ხეობის ნაწილი, **მ**. სადადიანო სვანეთში შედიოდა. XX ს. 50-იანი წლებიდან დაიწყო კურორტის კეთილმოწყობა. საბჭ. პერიოდში აქ იყო საკურორტო პოლიკლინიკა, სააბაზანო. 90-იანი წლებიდან კურორტმა ფუნქციონირება შეწყვიტა.

მ-იდან რამდენიმე კილომეტრში ზესხოს ულამაზესი ხეობაა, სადაც ფუნქციონირებდა ალპინისტური ბანაკები – „აილამა“ და „ზესხო“.